

CASPIAN DEVELOPMENT ADVISORY PANEL

[Home](#)

March 2003

ღია წერილი დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ „კასპიის განვითარების საკონსულტაციო კომისია“ ელის გამოსმაურებას აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში „ბი-პი“-ს საქმიანობის ირგვლივ

კასპიის რეგიონში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ზემოქმედების შესწავლის მიზნით, კომპანია „ბი-პი“-მ დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანო დააფუძნა. აღნიშნული ორგანო – „კასპიის განვითარების საკონსულტაციო კომისია“ (CDAP) – ფართო მანდატით სარგებლობს. მისი საქმიანობის მიზანია შეისწავლოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ზემოქმედება ბუნებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოზე. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ყურადღება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს დაეთმობა, კომისიას შესაძლებლობა ექნება შეისწავლოს რეგიონში „ბი-პი“-ს სხვა საქმიანობა და გეგმები მიღსადენთან დაკავშირებით. კომისია „ბი-პი“-ს გაუწევს კონსულტაციებს და შესთავაზებს კომპანიის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის სათანადო წარმართვის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული ღია წერილით, „კასპიის განვითარების საკონსულტაციო კომისია“ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის და რეგიონში „ბი-პი“-ს საქმიანობის სფეროში შემავალ ყველა პირს შენიშვნების და მოსაზრებების გაზიარებისკენ მოუწოდებს. კომისია მზად არის მიიღოს ინფორმაცია დაინტერესებული პირების ფართო სპექტრისგან, რომელიც მოიცავს, თუმცა არ იფარგლება, აკადემიური დაწესებულებებით, ბიზნეს საწარმოებით, საზოგადოების ხელმძღვანელებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციებით, მთავრობის წარმომადგენლებით, სამრეწველო გაერთიანებებით, მრავალპროფილიანი დაწესებულებებით და არასამთავრობო ორგანიზაციებით.

დამატებითი ინფორმაცია კასპიის განვითარების საკონსულტაციო კომისიის და მისი უფლებამოსილების სფეროს შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: www.caspsea.com კომისია შედგება ოთხი წევრისგან: იან ლეშლი (კომისიის თავმჯდომარე), სტიუარტ აიხენსტატი, ჯიმ მაკნილი და მუჰამედ საჰნუნი.

მიმდინარე წლის ბოლოს, კომისია „ბი-პი“-ს ჯგუფის მთავარ აღმასრულებელ დირექტორს ოფიციალურ წერილობით ანგარიშს ჩააბარებს. ეს ანგარიში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება მას შემდეგ, რაც მას „ბი-პი“-ს ჯგუფის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი გაეცნობა და „ბი-პი“ მასთან დაკავშირებით შესაბამის პასუხებს მოამზადებს.

ყველა ინფორმაცია კომისიას უნდა გაეგზავნოს შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: CDAP@caspssea.com ან შემდეგ იურიდიულ მისამართზე: Caspian Development Advisory Panel Secretariat, c/o Covington & Burling, Attention: Mr. Peter Flanagan, 1201 Pennsylvania Avenue, NW, Washington, DC 20009 USA. „კასპიის განვითარების საკონსულტაციო კომისია“ წინასწარ გიხდით მადლობას ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის და ელის თქვენს გამოსმაურებას.